ქ. თბილისის მერი

ბრძანება №23

2012 წლის 9 ოქტომბერი

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ" და „ო^{3}" ქვეპუნქტების, „ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის №1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „კ" და „ნ" ქვეპუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ქ. თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულება, დანართის თანახმად.
2. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა

დანართი

ქ. თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1
ეს დებულება განსაზღვრავს ქ. თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის (შემდგომში – სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2
სამსახური არის ქ. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ქ. თბილისის მერიის ობიექტების, ქ. თბილისში არსებული ბაღების, პარკების და სკვერების, ქ. თბილისის მერიის და ქ. თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობების უსაფრთხოებას და სამსახურის კომპეტენციაში შემავალი სხვა საკითხების გადაწყვეტას.

მუხლი 3
სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, „ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის №1-1 გადაწყვეტილებით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 4
სამსახური თავისი ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენს ქ. თბილისის მერიას.

მუხლი 5
სამსახური ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია ქ. თბილისის მერის და ქ. თბილისის მთავრობის წინაშე.

თავი II
სამსახურის ფუნქციები

მუხლი 6
სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:
ა) ქ.თბილისის მერიის ობიექტების, ქ. თბილისში არსებული ბაღების, პარკების და სკვერების, ქ.თბილისის მერიის და ქ. თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ბ) ამ მუხლის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ობიექტებში არსებულ ქონების დაცვა;

გ) საჭიროების შემთხვევაში ქ.თბილისის მერის, ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის და სხვა თანამდებობის პირების პირადი უსაფრთხოების დაცვა;

დ) ქ.თბილისის მერისათვის დასაცავ ობიექტებზე უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის წარდგენა;

ე) სამსახურში შემავალი განყოფილებების საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება;

ვ) ქ. თბილისის მერიის ორგანიზებით გასამართი ღონისძიებების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ზ) მოსამსახურეების მომზადებისა და სწავლების პროგრამების შემუშავება, საცნობარო მასალის შეგროვება;

თ) ქ. თბილისის მერიის ობიექტებში, ბაღებში, სკვერებში, პარკებში, ქ.თბილისის მერიის და ქ. თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობებში არეულობის ან სხვა სახის სამართალდარღვევათა აღკვეთის მიზნით სწრაფი რეაგირების მოხდენა;

ი) ქ. თბილისის მერის, ქ. თბილისის მერის მოადგილეების, ქ. თბილისის მთავრობის ან ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის მიერ დელეგირებული ფუნქციების განხორციელება.

თავი III
სამსახურის სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 7

1. სამსახური შედგება შვიდი განყოფილებისგან:

ა) ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილება;

ბ) კონტროლის განყოფილება;

გ) სწრაფი რეაგირების განყოფილება;

დ) ქ. თბილისის მერიის ობიექტების დაცვის განყოფილება;

ე) ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული შენობის დაცვის განყოფილება;

ვ) ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ბაღების, პარკების და სკვერების დაცვის განყოფილება;

ზ) ქ. თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის დაცვის განყოფილება.

მუხლი 8

1. ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) იხილავს სამსახურში შემოსულ კორესპონდენციას;

ბ) უზრუნველყოფს სამსახურს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

გ) აგროვებს და აანალიზებს ინფორმაციას სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, ადგენს შესაბამის საცნობარო მასალებს და წინადადებებს;

დ) ამზადებს სამსახურის საქმიანობის ანგარიშს;

ე) თავის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის სრულყოფილი განხილვა-გადაწყვეტისათვის აწარმოებს ურთიერთობას მერიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან;

ვ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს.

2. კონტროლის განყოფილება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ახორციელებს სამსახურში შემავალი დანაყოფების საქმიანობის მონიტორინგს;

ბ) სამსახურის უფროსს წარუდგენს ინფორმაციას თანამშრომელთა მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შესახებ;

გ) ხელმძღვანელობას აწვდის ინფორმაციას დასაცავ ობიექტებზე უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარების შესახებ;

დ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს.

3. სწრაფი რეაგირების განყოფილება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს ქ.თბილისის მერის, საკრებულოს თავმჯდომარის და სხვა თანამდებობის პირების პირადი უსაფრთხოების დაცვაში;

ბ) დახმარებას უწევს მერიის ობიექტებზე სამსახურის სხვა დანაყოფებს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;

გ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს.

4. ქ. თბილისის მერიის ობიექტების დაცვის განყოფილება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს ქ. თბილისის მერიის ობიექტების შენობის უსაფრთხოებასა და დაცვას;

ბ) აკონტროლებს ქ. თბილისის მერიის ობიექტებს უცხო პირთა შეღწევის აღკვეთის მიზნით;

გ) იცავს ქ. თბილისის მერიის ობიექტებში განთავსებული ქონებას;

დ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის სრლყოფილი განხილვა-გადაწყვეტისათვის აწარმოებს ურთიერთობას მერიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან;

ე) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს.

5. ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული შენობის დაცვის განყოფილება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული შენობის უსაფრთხოებასა და დაცვას;

ბ) აკონტროლებს ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციულ შენობას უცხო პირთა შეღწევის აღკვეთის მიზნით;

გ) იცავს ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულ ქონებას;

დ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის სრლყოფილი განხილვა-გადაწყვეტისათვის აწარმოებს ურთიერთობას მერიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან;

ე) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს.

6. ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ბაღების, პარკების და სკვერების დაცვის განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს ქ. თბილისის ტერიტორიაზე განთავსებული პარკებისა და სკვერების უსაფრთხოებასა და დაცვას;

ბ) იცავს ქ. თბილისის ტერიტორიაზე განთავსებულ პარკებსა და სკვერებში არსებულ ქონებას;

გ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს.

7. ქ. თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის დაცვის განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს ქ. თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის უსაფრთხოებასა და დაცვას;

ბ) აკონტროლებს ქ. თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობას უცხო პირთა შეღწევის აღკვეთის მიზნით;

გ) იცავს ქ. თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული ქონებას;

დ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის სრულყოფილი განხილვა-გადაწყვეტისათვის აწარმოებს ურთიერთობას მერიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან;

ე) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს.

თავი IV
სამსახურის მართვა

მუხლი 9

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ქ. თბილისის მერი.
2. სამსახურის უფროსი თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია ქ. თბილისის მერის წინაშე.

3. სამსახურის უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უშუალოდ წარმართავს და ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას;

ბ) გამოსცემს ინდივიდუალურ–სამართლებრივ აქტს – ბრძანებას;

გ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გასცემს მინდობილობას;

დ) პასუხს აგებს სამსახურზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ე) ხელს აწერს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურეობრივ დოკუმენტაციას;

ვ) უნაწილებს კორესპონდენციას თანამშრომლებს, აწესებს კონტროლს მის შესრულებაზე, განსაზღვრავს სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს და ფუნქციურ დატვირთვას, ანაწილებს დავალებებს მათ შორის, ისმენს ანგარიშებს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესრულების შესახებ, კონტროლს უწევს შინაგანაწესის დაცვას;

ზ) უფლებამოსილია ქ. თბილისის მერის წინაშე დააყენოს წინადადებები სამსახურის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით;

თ) ორგანიზებას უწევს და ახორციელებს კონტროლს (მერის, მთავრობის და ადმინისტრაციის უფროსის მიერ) სამსახურისათვის მიცემული დავალებების შესრულებაზე;

ი) კანონმდებლობის შესაბამისად, ქ. თბილისის მერს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის თანამშრომელთა წახალისების, მათზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის მატერიალური წახალისების თაობაზე;

კ) აწესრიგებს მოსამსახურეთა მიერ შვებულების გამოყენების, მათი სამსახურებრივი მივლინებების საკითხებს;

ლ) წარუდგენს ქ. თბილისის მერს ხელშეკრულებით მისაღებ პირთა კანდიდატურებს;

მ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს.

4. სამსახურის უფროსის უფლებამოსილება წყდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10

1. სამსახურის უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ. თბილისის მერი.
2. სამსახურის უფროსის მოადგილე:

ა) ასრულებს სამსახურის უფროსის მოვალეობებს, მისი არყოფნის პერიოდში;

ბ) ასრულებს სამსახურის უფროსის ცალკეულ დავალებებს;

გ) თავის საქმიანობას წარმართავს ამ დებულების, ქალაქ თბილისის მერიის დებულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11

1. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი.
2. განყოფილების უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) წარმართავს და ხელმძღვანელობს განყოფილების საქმიანობას;

ბ) პასუხს აგებს განყოფილებაზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულებაზე;

გ) ხელს აწერს განყოფილების კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურეობრივ დოკუმენტაციას;

დ) ახორციელებს კონტროლს განყოფილების თანამშრომელთა მიერ დავალებათა შესრულებაზე;

ე) კანონმდებლობის შესაბამისად სამსახურის უფროსს წარუდგენს წინადადებებს განყოფილების თანამშრომელთა წახალისების, აგრეთვე მათზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ვ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს.

3. განყოფილების უფროსი თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის წინაშე.

მუხლი 12

სამსახურის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც ახორციელებენ კანონმდებლობით, წინამდებარე დებულებითა და ქ. თბილისის მერიის შინაგანაწესით მათთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას.

თავი V
სამსახურის ქონება და ფინანსები

მუხლი 13

სამსახურის დაფინანსება ხორციელდება ქ. თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე.

მუხლი 14

სამსახურის მფლობელობაში არსებული ქონება წარმოადგენს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას.

მუხლი 15

1. სამსახური საბიუჯეტო პროცესში მონაწილეობისათვის ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს წარუდგენს:

ა) ქ. თბილისის მთავრობის დადგენილების შესაბამისად სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში დასაბუთებულ გაანგარიშებებს და ინფორმაციას;

ბ) მერის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ამზადებს ქ. თბილისის მთავრობის დადგენილების პროექტს ან წერილს საფინანსო საქალაქო სამსახურის მიმართ, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

გ) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ქ. თბილისის ბიუჯეტის ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშის მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზებისათვის სამსახურის ბიუჯეტის შესრულების შესაბამის ინფორმაციებს (განმარტებით ბარათს);

დ) ქ. თბილისის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ხარჯების – პროგრამებისა და ღონისძიებებისათვის საბიუჯეტო ვალდებულებების და დამოწმების დოკუმენტის მოსამზადებლად შესაბამის დოკუმენტს (ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშფაქტურა და სხვა) წერილობით;

ე) მოსამსახურეთა ხელფასების, პრემიების და სხვა გასაცემ თანხებზე სათანადო დოკუმენტებს (უწყისები);

ვ) სამსახურში განსაზღვრულ ვადაში ჩატარებული სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ მონაცემებს საქალაქო სამსახურების ნაერთ ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახვის მიზნით.

2. ქ. თბილისის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, სამსახური ამზადებს ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი მიზნობრივი პროგრამების პროექტებს.

თავი VI
დასკვნითი დებულებები

მუხლი 16

სამსახურს აქვს დებულება, შტამპი, ბლანკი, ბეჭედი სამსახურის სახელწოდების აღნიშვნით, აგრეთვე ამ სტატუსის მქონე სამსახურისათვის ნებადართული სხვა ოფიციალური რეკვიზიტები.

მუხლი 17

1. სამსახურის დებულებას, სამსახურის უფროსის წარდგინებით, ამტკიცებს ქ. თბილისის მერი.
2. სამსახურის რეორგანიზაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია) ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 18

ყველა ის საკითხი, რომელსაც არ ითვალისწინებს წინამდებარე დებულება, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.